



## ცვლილება ბრძანებაში

### შინაარსი

- ფიზიკური პირის მიერ ქონების/აქტივის მიწოდებაზე საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის შევსების წესი
- საწარმოს მიერ მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შევსების წესი
- ცვლილება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის განაცხადში
- არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის უფლების შეზღუდვა საბაზო დეკლარაციებთან მიმართებაში
- წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის მოთხოვნის წერილის ფორმატის ცვლილება

### ფიზიკური პირის მიერ ქონების/აქტივის მიწოდებაზე საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის შევსების წესი

2025 წლის 31 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №279, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, განახლდა ფიზიკური პირის მიერ ქონების/აქტივის მიწოდებაზე საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის შევსების წესი.

აღნიშნული ცვლილებით განახლდა №996 ბრძანების 33<sup>3</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ეხება ფიზიკური პირის, მათ შორის არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებისას საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგენას. შეგახსენებთ, რომ წარდგენა ხდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

ცვლილების თანახმად, საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება აქტივის მიწოდების საანგარიშო პერიოდისთვის ასევე წარმოეშობა ფიზიკურ პირს, რომელიც აქტივის მიწოდების მომენტში ნამეტ შემოსავალს ფაქტობრივად არ იღებს, თუმცა სსკ-ის 189-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში დაიბრუნებს სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილ აქციზისა და იმპორტის გადასახადის თანხას, რაც გამოიწვევს ნამეტი შემოსავლის წარმოქმნას (იმავე საანგარიშო პერიოდში ან მომავალში). ანუ, აქტივის მიწოდების თვის მიხედვით დაადეკლარირებს ნამეტ შემოსავალს, რომელსაც მიიღებს გადასახადების დაბრუნების შედეგად. ამასთან დაკავშირებით იცვლება აღნიშნული დეკლარაციის ფორმა, სადაც გაჩნდება შესაბამისი უჯრა, რომელიც საშუალებას მისცემს გადამხდელს ასახოს დასაბრუნებელი გადასახადების ოდენობა. ახალი დეკლარაცია ასევე მისცემს საშუალებას სწორად ასახოს ნამეტი შემოსავალი იმ ფიზიკურ პირებსაც, რომლებმაც გარკვეული ნამეტი შემოსავალი მიიღეს აქტივის მიწოდების საანგარიშო პერიოდში, თუმცა, ეს ნამეტი გაეზრდებათ დასაბრუნებელი გადასახადების თანხით.

შეგახსენებთ, რომ სსკ-ის 189-ე მუხლის მე-8 ნაწილით განსაზღვრულ სეს ესნ 8703 ან 8711 კოდებში მითითებული აქტივების (მსუბუქი ავტომობილი/მოტოციკლი, მოპედის ჩათვლით) და 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით სეს ესნ 8703 კოდში მითითებული მსუბუქი ავტომობილის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევიდან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება 180 კალენდარული დღის განმავლობაში გაფორმდება ექსპორტის პროცედურაში და დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, იმპორტიორი უფლებამოსილია დადგინდეს წესის შესაბამისად დაიბრუნოს ამ სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი აქციზი და იმპორტი 100 პროცენტის ოდენობით.

**ცვლილება ძალაშია 2025 წლის 1 აპრილიდან.**

### საწარმოს მიერ მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შევსების წესი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №279 ბრძანებით ცვლილება შევიდა ასევე საწარმოს მიერ მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შევსების წესშიც.

ცვლილების შედეგად განახლდა აღნიშნული ბრძანების 40<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის შენიშვნის ა.ბ პუნქტი, რომელიც ეხება მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის (დანართი №II-086) შევსებას და 16.1 სტრიქონში წმინდა მოგებიდან

განაწილებული დივიდენდის ასახვას. განახლებული „ა.ბ“ პუნქტის მიხედვით 16.1 სტრიქონში, შეიტანება სადაზღვევო ორგანიზაციის შემთხვევაში 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება შემდეგ პირებზე: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, კომანდიტურ საზოგადოებაზე, შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივზე.

ცვლილების შედეგად ასევე განახლდა შენიშვნის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც განაწილებული დივიდენდის 16.1 სტრიქონში არ შეიტანება 2008 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან - სადაზღვევო ორგანიზაციისგან მიღებული დივიდენდის განაწილება.

**ცვლილება ძალაშია 2025 წლის 1 აპრილიდან.**

## ცვლილება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის განაცხადში

2025 წლის 19 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №66, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, "დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ" დანართი №III-01 განახლდა სავალდებულო წესით დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის შედეგად შეიცვალა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისთვის წარსადგენი განაცხადის ფორმა, კერძოდ, დაემატა კიდევ ერთი შესავსები გრაფა - დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის დაგვიანების შემთხვევაში, სავალდებულო რეგისტრაციის თარიღიდან განცხადებით მომართვის თვის საანგარიშო პერიოდამდე რეგისტრაციის გარეშე განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა გათავისუფლებულისა) თანხები. თუმცა, ახალი გრაფის შევსება სავალდებულო არ არის.

**ცვლილება ძალაშია 2025 წლის 20 მარტიდან.**

## არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის უფლების შეზღუდვა საბაჟო დეკლარაციებთან მიმართებაში

2025 წლის 21 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №4989, რომლითაც ცვლილება შევიდა „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის და გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 თებერვლის №3751 ბრძანებაში. ცვლილებით განისაზღვრა, რომ პირს, რომელიც შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე და მის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით არაკვალიფიციური დღგ-

## ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიბხლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემულ ბრძანებებში.

**მარიამ ხუსკივაძე**  
MKhuskivadze@bdo.ge

**მიხეილ ენუქიძე**  
MEnukidze@bdo.ge  
▶ ვრცლად [www.bdo.ge](http://www.bdo.ge)

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის

განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

ის გადამხდელის სტატუსის მქონეა, შეუჩერდება საბაჟო დეკლარაციის გამოყენების უფლება დღგ-ის ჩათვლის მიღების მიზნით.

**ცვლილება ძალაშია 2025 წლის 1 აპრილიდან.**

## **წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის მოთხოვნის წერილის ფორმატის ცვლილება**

2025 წლის 26 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №77, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, განახლდა პირის მიერ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე წარსადგენი მოთხოვნის წერილის ფორმა და ამ წერილის შევსების ინსტრუქცია.

აღნიშნული ცვლილებით, მოთხოვნის წერილში შევიდა ვიზუალური და მცირე ინფორმატიული ცვლილებები, განახლდა ფორმა და სტრუქტურა.

**ცვლილება ძალაშია 2025 წლის 27 მარტიდან.**